

შპს „ბესთ გრუპი“-ს
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "ბესტ გრუპი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
		ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49692	12298	16235	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	305142	138178	50961	
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4281	2978	950	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	184944	83498	69488	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	184944	83498	69488	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1758	27183	17377	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1016	1342	1341	
ძირითადი საშუალებები	343332	30615	8254	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	890165	296092	164606	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	666151	428502	282401	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34421	23199	7369	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	11467	20582	26045	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1308	34957	38900	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	93921			3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	387969	6249	19378	3.6
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	170	170		
სულ ვალდებულებები	1195407	513659	374093	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1100	1100	1100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-306342	-218667	-210587	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-305242	-217567	-209487	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	890165	296092	164606	
სულ მოკლევადიანი აქტივები	545817	264135	155011	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	807438	507410	354715	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.				
დირექტორი: _____ დათა ქარდავა				
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "ბესტ გრუპი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული : 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2021	2020	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	3244756	2027705	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3223981	2027705	
- მომსახურების გაწევიდან	20775		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-2344405	-1431881	
საერთო მოგება	900351	595824	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-667883	-390946	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-7191	-4583	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-13576	-2346	
იჯარის ხარჯი	-17305		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-305294	-206029	3.8
სულ საოპერაციო ხარჯები	-1011249	-603904	
საოპერაციო მოგება	-110898	-8080	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	3		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	30753		3.9
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-80142	-8080	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-80142	-8080	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-80142	-8080	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-217567	-209487	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-7533		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-305242	-217567	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.			
დირექტორი: _____		დათა ქარდავა	
თანმზღლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "ბესტ გრუპი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2021	2020	
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-98358	38482	
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-320404	-26945	
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	456153	-15474	
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	37391	-3937	
სავალუტო კურსის ეფექტი	3		
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	12298	16235	
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	49692	12298	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.			
დირექტორი: _____		დათა ქარდავა	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბესთ გრუპი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 10 სექტემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია B17004257. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 400152703, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, თემქა, IX კვ., კორპ. 17, ბ.39. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2015 წლის 10 სექტემბერს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია დათა ქარდავა (პ/ნ 62001034867).

1.3. კომპანიის დირექტორია დათა ქარდავა (პ/ნ 62001034867).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით.

1.5. კომპანიას ფილიალები არ აქვს. ასევე, კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 01.01.2020 წ., თუმცა 2020 წლის გადაანგარიშება მოხდა 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების შედგენისას. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8

ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი

განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე (ვინაიდან ნაღდი ანგარიშსწორება არ წარმოებს).

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

სხვა მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი; 1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი; 1 EUR=4.0233 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=3.2170 ლარი; 1 EUR=3.8152 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	305142	138178	50961
სულ:	305142	138178	50961

2021 წლის ბოლოსათვის კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები შედგება მყიდველი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადაუხდელი დავალიანებებისაგან, სულ რამოდენიმე ათასი დებიტორია 31.12.2021 წ. მდგომარეობით. ყველა არის საქართველოს რეზიდენტი პირი. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ამოღებადია.

3.2. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები შედგება:

საპენსიო სააგენტოზე ზედმეტად გადარიცხული თანხა – 1663 ლარი;

წინასწარ გაწეული ხარჯი – 95 ლარი.

სულ: 1758 ლარი.

3.3. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2020 წ. მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2020 წ. მდგომარეობით
შენობა-ნაგებობები	299532	299532	0	0	0	0	0
მანქანა-დანადგარები	0	0	500	500	0	2700	3200
კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა	2512	2071	514	955	1040	85	0
ავტოტრანსპორტი	32021	15800	5313	21534	21931	1757	1360
სხვა ძირითადი საშუალებები	9267	2343	702	7626	4633	701	3694
სულ:	343332	319746	7029	30615	27604	5243	8254

კომპანიამ შეისყიდა საოფისე ფართი თბილისში, ნ. ბოხუას ქუჩაზე, 2021 წლის ბოლოს (დეკემბერში).

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 40 800 ლარი;

2020 წლის ბოლოს - 33 772 ლარი.

3.4. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ შედგება „დაგროვებითი საპენსიო სქემაში ჩართული პირების სავალდებულო სადაზღვევო შენატანებისაგან“, რომელიც გადასახდელი იყო წლის ბოლოსათვის და შეადგენდა 34421 ლარს.

3.5. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრები სრულად შეადგენდა კომპანიის დამფუძნებლისგან მიღებულ სესხს, რომელიც შეადგენდა 93921 ლარს და სრულად დაიფარა 2022 წელს.

3.6. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ნასესხები სახსრები სრულად შეადგენდა „თიბისი ბანკი“-საგან მიღებულ სესხებს:

„თიბისი ბანკის“ სესხი, ხელშ. 7345970-11259165 (ლარი) – 84638 ლარი;

„თიბისი ბანკი“ სესხი, ხელშ. 7345970-11388612 (ლარი) – 42064 ლარი;

„თიბისი ბანკი“ სესხი, ხელშ. 7345970-11508929 (აშშ დოლარი) – 4979 ლარი;

„თიბისი ბანკი“ სესხი, ხელშ. 7345970-11706576 (აშშ დოლარი) – 256288 ლარი.

სულ: 387 969 ლარი.

სესხების უზრუნველყოფაში ჩადებულია კუთვნილი საოფისე ფართი ქ. თბილისში, ბოხუას ქუჩაზე.

3.7. ნეტო ამონაგები:

	2021 წელი	2020 წელი
საქონლის გაყიდვიდან	3223981	2027705
მარკეტინგული მომსახურების გაწევიდან	20775	0
სულ:	3244756	2027705

2020 წელში კომპანია არ ეწეოდა მარკეტინგულ მომსახურებას.

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა იჯარისა, შრომის ანაზღაურებისა, ცვეთისა და ამორტიზაციისა):

	2021 წელი
რეკლამის ხარჯები	15755
მარკეტინგული ხარჯები	82636
მზა პროდუქციის ტრანსპორტირების ხარჯები	580
საღარიბე აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	2389
ავტომობილის იჯარა	10750
ელექტროენერგიის ხარჯები	142
გაზი და წყალი	235
დასუფთავება და ანალოგიური ხარჯები	264
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის ხარჯები	189
საკანცელარიო ხარჯები	2484
კომპიუტერის ხარჯები	1008
კომუნიკაციის ხარჯები	7622
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	151144
საკონსულტაციო და საბუღალტრო მომსახურების ხარჯები	1052
გადახდილი მოსაკრებლები	675
საგადასახადო ხარჯები	368
საბანკო ხარჯები	12090
ავტომანქანების რემონტის ხარჯები	8437
ავტომანქანის საექსპლუატაციო ხარჯები	6864
წარმომადგენლობითი ხარჯები	92
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	518
სულ:	305294

3.9. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები (საკურსო სხვაობების გარდა):

	2021 წელი
ნაჩუქარი მარაგი და სხვა სარგებელი	19453
შელავთი პანდემიის გამო საშემოსავლო გადასახადში	12706
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	637
საურავები	-2043
სულ:	30753

3.10. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი

კომპანიას როგორც 2020, ასევე 2021 წლებში მიღებული აქვს ზარალი. შესაბამისად, დამფუძნებელზე დივიდენდები არ გაცემულა.

3.11. სასამართლო დავები

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2022 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელს და 2022 წელსაც. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემიის მასშტაბები შემცირებულია, მაგრამ სრულად დამარცხებული არ არის.

შექმნილი სიტუაციის მიუხედავად, კომპანიას ფინანსური სირთულებები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2022 წლის 1 იანვრიდან 15 ნოემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას, არ მომხდარა.

3.13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2022 წლის 15 ნოემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	31.12.2019	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	49692	12298	16235	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	305142	138178	50961	3.1
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	4281	2978	950	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	184944	83498	69488	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	184944	83498	69488	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1758	27183	17377	3.2
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1016	1342	1341	
ძირითადი საშუალებები	343332	30615	8254	3.3
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	890165	296092	164606	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	666151	428502	282401	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	34421	23199	7369	3.4
საგადასახადო ვალდებულებები	11467	20582	26045	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	1308	34957	38900	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	93921			3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	387969	6249	19378	3.6
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	170	170		
სულ ვალდებულებები	1195407	513659	374093	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	1100	1100	1100	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	-306342	-218667	-210587	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	-305242	-217567	-209487	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	890165	296092	164606	
სულ მოკლევადიანი აქტივები	545817	264135	155011	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	807438	507410	354715	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.

დირექტორი:

დათა ქარდავა

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "ბესტ გრუპი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული :1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	3244756	2027705	3.7
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	3223981	2027705	
- მომსახურების გაწევიდან	20775		
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-2344405	-1431881	
საერთო მოგება	900351	595824	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			3.8
დასაქმებულთა ანაზღაურება	-667883	-390946	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-7191	-4583	
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-13576	-2346	
იჯარის ხარჯი	-17305		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-305294	-206029	
სულ საოპერაციო ხარჯები	-1011249	-603904	
საოპერაციო მოგება	-110898	-8080	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	3		
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	30753		
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-80142	-8080	
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-80142	-8080	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-80142	-8080	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-217567	-209487	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-7533		
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-305242	-217567	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.

დირექტორი:



დათა ქარდავა

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ბესტ გრუპი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-98358	38482
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-320404	-26945
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	456153	-15474
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	37391	-3937
სავალუტო კურსის ეფექტი	3	
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	12298	16235
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	49692	12298

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 15.11.2022 წ.

დირექტორი:



დათა ქარდავა

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.